ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1019881

ნომერი: AR1178793

თარიღი : 28.11.2013

გაცემის თარიღი : 04.12.2013

გაცნობის თარიღი : 04.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბროსეს ქ. #2–ში მდებარე შენობის აივნების გადახურვისა და ლოჯიის შემინვის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილია 30.11.2011 წლის ამონაწერი საჯარო რესტრიდან (რეგისტრაციის #882011581230), რომლის მიხედვითაც შენობა არის მშენებარე. იმ შემთხვევაში, თუ შენობა არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, საჭიროა განაცხადი დარეგისტრირდეს შეთანხმებული პროექტის ცვლილების ნომენკლატურით;
2. არ არის წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სარეკონსტრუქციო ფართების საკუთრების თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი თანხმობები (დამოწმებული შესაბამისი წესით);
3. არ არის წარმოდგენილი მინდობილობა განმცხადებლის სახელზე;
4. არ არის წარმოდგენილი პროექტის ავტორის თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი წესით);
5. საპროექტო ფოტომონტაჟზე არ არის სრულად მითითებული მასალა და ზომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორებისა და განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.